საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა: საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - სახალხო დამცველის წინადადებებსა თუ რეკომენდაციებზე რეაგირების ბერკეტების შექმნა. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: პარლამენტის ზოგიერთი წევრისათვის ცნობილია, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემთან, როგორც საჯარო მოხელესთან მიმართებით, სახალხო დამცველის აპარატში[1] განიხილებოდა საქმე ჩემი უფლებების და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით (ნინო ლომჯარიას პერიოდში - ვფიქრობ, რომ საქმის განხილვისას გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიკერძოებულობით და ტენდენციურობით), რომელთაც შესაძლოა თვალში მოხვედროდათ ის გამოვლენილი პროცედურული თუ ფუნქციური ხარვეზები (ან უარეს შემთხვევაში გულგრილობა), რომელიც კიდევ უფრო ართულებდა ჩემს წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრას. სწორედ, რომ არ მსურს იგივე მდგომარეობის წინაშე როდესმე ჩადგეს სხვა ფიზიკური პირიც ჩემს მიერ საკანონმდებლო წინადადების მომზადება განპირობებულია აღნიშნულით. როგორც ორგანულ კანონში ვკითხულობთ კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის ფარგლებში და მიღებული განცხადებების საფუძველზე, სახალხო დამცველი ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს, ხოლო შემოწმების შედეგების მიხედვით, მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღსადგენად (მუხლი 12 და მუხლი 21). ამასთან, ორგანული კანონის 14[1]-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი თავისი ფუნქციების შესასრულებლად ასევე ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ასევე, ამავე კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძვლად, შემოწმების შედეგების მიხედვით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის, აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით სახალხო დამცველი უფლებამოსილია

[1] ცნობისათვის: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული 24/12091 15/12/2023 წერილის თანახმად, გაგზავნილი მქონდა 84 მიმართვა, ხოლო აპარატიდან მიღებული მქონდა 48 პასუხი (ალბათ დიდი ნაწილი საქმეთა განსახილველად დასაშვებობას ეხებოდა). გასათვალისწინებელია თუგინდ საქართველოს პარლამენტიდან გადაგზავნილი კორესპონდენციაც.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1305/24
07 02 2024 ფურს. 18

საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებები, შენიშვნები და რეკომენდაციები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს. რამდენადაც მახსოვს საქმის წარმოების რამდენიმე წლიანი მცდელობის დროს ერთადერთი ერთგვარი გამამტყუნებელი შეფასება გამოტანილი იქნა ადმინისტრაციულ ორგანოსადმი (საგარეო საქმეთა სამინისტრო), რა დროსაც 05/06/2019 04-2/6240 წინადადებით (პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების პროცედურის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვის თაობაზე, თან ერთვის) გაეცა რეკომენდაცია შეფასების პროცესის კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმართვა. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავ, რომ დიპლომატიურ სამსახურში მოხელეთა შეფასება დაიწყო 2018 წლის საქმიანობის პერიოდიდან (შესაბამისად წარმოშობილი დავები 2019 წელს დაიწყო) და წინადადებით გათვალისწინებული ხარვეზი დარჩა 2019, 2020 და 2021 წლების საქმიანობის განხორციელების დროსაც (რამდენადაც ვიცი დღემდე რეაგირება არ მომხდარა). მაშინ, როდესაც არსებული შეფასების წესი ავალდებულებს მოხელეს მოახდინოს თვითშეფასება (რაც გამოხატვის თავისუფლებასთანაც ალბათ მოდის წინააღმდეგობაში), იგი, შემფასებელი პირის მიერ შეფასების დაუსაბუთებლობით, ამავდროულად უგულვებელყოფს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტთან მიმართებით ისევე, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, აქ უნდა აღვნიშნოთ საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს თუ საჯარო დაწესებულებას (სხვა პირებს და ორგანიზაციებსაც) ევალება სახალხო დამცველის წინადადების 20 დღის ვადაში განხილვა და წერილობითი პასუხის დაბრუნება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული პასუხით, მათ საპასუხო ინფორმაცია არ მიუღიათ, მათ მიერ ასევე განიმარტა, რომ სახალხო დამცველის აპარატი აგრეთვე მოკლებული იყო შესაძლებლობას, დამატებით განახორციელოს რეაგირება აღნიშნულ განცხადებებზე (სავარაუდოდ ნაგულისხმები იყო მსგავსი სახის პრობლემატიკის გამოვლენისას), ხოლო მომავალი შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში, გამომდინარე იქიდან, რომ სახალხო დამცველის მიმართვები არ წარმოადგენდა სამართლებრივად მბოჭავ დოკუმენტებს, აპარატი მოკლებული იყო შესაძლებლობას, დამატებით განეხორციელებინა სხვაგვარი რეაგირება ზემოაღნიშნული წინადადებით განხილულ საკითხზე. მარტივად, რომ ვთქვათ მიუხედავად იმისა, რომ იციან, რომ სავარაუდოდ ჩემი უფლებების დარღვევის პროცესი კვლავ გრძელდება, ისინი შესაბამისი ბერკეტების უქონლობით, სარეკომენდაციო ხასიათის წინადადების წარდგენის გარდა ვერაფერს ვერ გააკეთებდნენ.

- იმედგაცრუებულს ტოვებს ფიზიკურ პირს (მოლოდინები რადგან ვერ გამართლდა), ხოლო მეორეს მხრივ უფლებების სავარაუდო დამრღვევ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკარგება სახალხო დამცველის ინსტიტუტისადმი ერთგვარი რიდი, ასევე შეგრძნება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების უგულვებელყოფისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ვერ გეტყვით ასეთ შემთხვევაში რა უფრო ეფექტიანი იქნებოდა სასამართლოსადმი მიმართვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თხოვნით (ნაგულისხმებია წინადადებაზე საპასუხო ინფორმაციის მიღება) თუ საგამოძიებო ორგანოსადმი (სავარაუდოდ განგრძობითი ხასიათის უფლებების დარღვევაზე რეაგირების მოხდება), თუმცა, ჩემის მოსაზრებით შესაძლებელია ასეთი ტიპის დარღვევებზე განისაზღვროს ანალოგიური მიდგომები სანქციებისადმი, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 64, 66-87 მოხლებით არის დადგენილი, ხოლო დარღვევა, რის გამოც სანქცია შეიძლება დააკისროს სახალხო დამცველმა იყოს:

- არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ფაქტების დადგენა
- შშმ პირთა უფლებების შელახვის ფაქტის დადგენა
- გენდერული თანასწორობის მხრივ და ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტის დადგენა
- დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა
- ორგანული კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

თუკი არ დაეთანხმება უფლებამოსილი პირი მიღებულ გადაწყვეტილებას, მას შეეძლება, რომ საკითხი გაასაჩივროს შესაბამის სასამართლოში.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted]
მობ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის ადგილი [redacted]

19/01/2024

6240-04-2-2-201906051024

N 04-2/6240
05/06/2019

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ დავით ზალკანიანს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების პროცედურის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად.

ბატონო დავით,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს მრჩევლის, ნიკოლოზ ნიკოლაძის 2019 წლის 29 იანვრის, 12 თებერვლის, 27 თებერვლისა და 5 მარტის №1009/19, №1864/19, №2795/19 და №3077/19 განცხადებებთან დაკავშირებით, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს მისი შეფასების კანონიერების შესწავლას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წინამდებარე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოხელის შეფასება განხორციელდა აღნიშნული პროცედურისთვის დადგენილი წესებისა და დასაბუთების სტანდარტის დარღვევით.

ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველო, თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი #150, ტელ.: (+995 32) 2234499;
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
150 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0112, Georgia, Tel.: (+995 32) 2234499;
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების საქმართველოს მრჩეველის, ნიკოლოზ ნიკოლაძის 2018 წლის საბოლოო შეფასების ფორმის თანახმად, უშუალო ხელმძღვანელისგან მან დაიმსახურა „კარგი შეფასება".[1]

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ფორმაში გაწერილი ქმედებების/კომპეტენციების მიმართ ნიკოლოზ ნიკოლაძის ხელმძღვანელის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსის, ბექა ზარანდიას მიერ არჩეული სიტყვიერი შეფასებები არც ერთ შემთხვევაში ყოფილა დასაბუთებული შესაბამისი კომენტარებით, მტკიცებულებებისა და მაგალითების საფუძველზე.

ნიკოლოზ ნიკოლაძე არ დაეთანხმა მისი წლიური შეფასების შედეგებს, რომელიც განიხილა და უცვლელად დატოვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 18 იანვრის №01-9 ბრძანებით შექმნილმა მოდერაციის საბჭომ.[2]

საგულისხმოა, რომ საქმისწარმოების ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესაბამისად, არ დადასტურდა შეფასების პერიოდში შუალედური განხილვის განხორციელებისა და მის საფუძველზე „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული შუალედური შეფასების ფორმის შევსების ფაქტი.

რაც შეეხება ნიკოლოზ ნიკოლაძის თვითშეფასებისა[3] და მისი ხელმძღვანელის წინასწარი შეფასების განხილვის მიზნით გასამართ შეხვედრას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსის, ბექა ზარანდიას 2019 წლის 3 აპრილის №15746-01 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მსგავსი შეხვედრა მხარეებს შორის შედგა. თუმცა განმცხადებლის მხრიდან არაკონსტრუქციული ქმედებებისა და არათემატური საუბრის გამო, მალე შეწყდა. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატში არ წარმოდგენილა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე შედგენილი შეფასების შეხვედრის საბოლოო შედეგის ამსახველი წერილობით გაფორმებული დოკუმენტი.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, მოხელეთა 2018 წლის შეფასებებს სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია.[4]

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის უფლება[5] სოციალური სახელმწიფოს პრინციპის[6] რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია,[7] რომლითაც, მათ შორის,

---

[1] კარგი შეფასებით დასტურდება, რომ მოვალეობა კარგად შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები სტაბილურად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

[2] დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების მოდერაციის საბჭოს 2019 წლის 30 იანვრის №1 სხდომის ოქმი.

[3] ნიკოლოზ ნიკოლაძემ თვითშეფასების ფორმაში ასახული არგუმენტაციის საფუძველზე, მიუთითა, რომ იმსახურებდა საუკეთესო შეფასებას.

[4] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 22 აპრილის №01/15860 წერილი.

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 25, ნაწილი 1 და მუხლი 26, პუნქტი 1.

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5.

[7] პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის უფლებისა და გარემოს დაცვის სფეროში, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და „მწვანე ალტერნატივა", თბილისი 2015, გვ. 9.

დაცულია უფლება, ჯეროვნად და შეუფერხებლად განახორციელო და შეინარჩუნო სამუშაო, დაცული იყო ისეთი რეგულირებისგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.[8]

აღნიშნული უფლება მჭიდრო კავშირშია ადამიანის ღირსეულ ყოფასთან და მისი პიროვნული განვითარების უფლებასთან.[9] შრომის პროცესში ადამიანი ახდენს საკუთარი უნარ-ჩვევების გამოყენებას, მას წარმართავს საკუთარი, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად. ამდენად, შრომა და ამ უფლების დაცვა არ არის მხოლოდ დასაქმებულის ინტერესებისა და მისი მოთხოვნილებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მისი მნიშვნელობა დიდია აგრეთვე სახელმწიფოსთვის. თავის მხრივ, დასაქმებულთა მხრიდან ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულება შეუძლებელია შრომის სამართლიანი პირობების უზრუნველყოფის გარეშე.[10] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საჯარო თანამდებობა,[11] მისი სფეციფიკურობის გათვალისწინებით, აუცილებელია, იყოს სტაბილური და ეფექტიანი.[12]

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის უფლების დაცვის განხორციელების მიზანს ემსახურება, მათ შორის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ძალაში 2017 წლის 1 ივლისს შევიდა და ახლებურად ჩამოაყალიბა საჯარო სამსახურის სისტემა.[13] დასახელებული კანონის მიერ შემოტანილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს პროფესიული საჯარო მოხელის შეფასება,[14] რომელიც საფუძვლად უდევს საჯარო სამსახურის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.[15]

შეფასების სამართლებრივი მექანიზმის შემოღებით კანონმდებელმა საჯარო დაწესებულებები ერთგვარი გამოწვევის წინაშე დააყენა ეფექტური და ეფექტიანი შეფასების სიტემის შემუშავებისა

---

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"*, II.3.19; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*, II.3.1.

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე - ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*, II.3.35.

[10] იქვე, II.3.35-36.

[11] პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II.3.34; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*, II.3. 26.

[13] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის №ბს-376-376 (2კ-18) განჩინება.

[14] მოხელის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებების და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისათვის საჯარო დაწესებულების მიერ ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელის ან/და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება.

[15] პ. ტურავა, საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, კომენტარები, თბილისი, 2018, თავი I - ზოგადი დებულებები, გვ. 28. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://csb.gov.ge/uploads/wigni.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.05.2019].

და ამოქმედების კუთხით. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები კონკრეტული დაწესებულებისა და მისი სტრუქტურული ერთეულის სპეციფიკა.[16]

მსგავსი სისტემის დანერგვის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანებით დამტკიცდა „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი", რომლის შესაბამისადაც დადგინდა მოხელისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცედურა, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 15 ივნისის №01-148 ბრძანებით განისაზღვრა დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შესაფასებელი პერიოდის დაწყების,[17] შესრულებული სამუშაოს შუალედური განხილვისა[18] და საბოლოო შეფასების[19] ვადები. სწორედ მითითებული მოწესრიგების საფუძველზე განხორციელდა ნიკოლოზ ნიკოლაძის შეფასება 2018 წელს.

გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობა დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასებას უკავშირებს ისეთ სამართლებრივ შედეგებს, როგორებიცაა მოხელისათვის დიპლომატიური რანგისა და კლასის მინიჭება, მოხელის კარიერულ განვითარება, მისი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება და წახალისება, აგრეთვე მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება და სამსახურიდან გათავისუფლება.[20]

თავის მხრივ, მოხელის შეფასების შედეგების ამსახველი ფორმა წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს,[21] რომელიც ამგვარი პროცედურის მიზნებისა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუცილებელია, სათანადოდ დასაბუთდეს.[22] აღნიშნული გულისხმობს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შემუშავებული წლიური შეფასების ფორმაში გაწერილი მოხელის **ქმედებებისთვის/კომპეტენციებისთვის არჩეული სიტყვიერი შეფასებები უნდა გამყარდეს მტკიცებულებებისა და მაგალითების საფუძველზე,[23] რისთვისაც ხსენებულ დოკუმენტში გამოყოფილია შესაბამისი ველი.**

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია მისი გამომცემი ორგანოს ან უფლებამოსილი თანამდებობის

---

[16] ი. წულაია, ნ. ოხანაშვილი, მ. კუჭუხიძე, თ. სიმონგულაშვილი, ნ. ბარათაშვილი, „საქართველოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების სახელმძღვანელო, გვ. 4, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://csb.gov.ge/uploads/654786.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.05.2019].

[17] 2018 წლის 18 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

[18] 2018 წლის 2 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

[19] 2018 წლის 18 ნოემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

[20] „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, „მ" ქვეპუნქტი, მუხლი 26, ნაწილი 1, მუხლი 54, ნაწილი 3, მუხლი 59, მუხლი 85, ნაწილი 3, „ე" ქვეპუნქტი, მუხლი 107, ნაწილი 1, „ვ" ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი და პირობები", მუხლი 15; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №02-136 ბრძანებით დამტკიცებული „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი", მუხლი 11.

[21] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანებით დამტკიცებული „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი", მუხლი 18.

[22] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანებით დამტკიცებული „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი", მუხლი 3 და მუხლი 9, ნაწილი 7.

[23] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანებით დამტკიცებული „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი", მუხლი 9, ნაწილი 7.

პირის თვითკონტროლისა და საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში მოქცევით, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს, რომელიც განსაზღვრავს გადაწვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით.[24] აღნიშნული, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სამართლებრივი უსაფრთხოების განცდის შენარჩუნებას, ხოლო მეორე მხრივ, გადაწყვეტილების ადრესატს აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს მისი მართლზომიერება, უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში კი, ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით და იცოდეს, რა არგუმენტებით დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას.[25]

ზემოხსენებული ვალდებულების სრულყოფილად შესრულების მიზნით, „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი" შეფასების პროცესში მონაწილე უშუალო ხელმძღვანელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მათ შორის, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა და საჭიროების შემთხვევაში, შესაფასებელ მოხელეს განუსაზღვროს დამატებითი ვადა მათი წარმოდგენისთვის.[26] ამასთან, შეფასების პროცესის კანონიერად, სამართლიანად და ობიექტურად წარმოების მიზანს ემსახურება შეფასების შუალედური განხილვისა და მისი დოკუმენტირების, მოხელის მიერ თვითშეფასების ფორმის შევსების, მოხელესა და ხელმძღვანელს შორის გამართულ შეხვედრაზე წინასწარი შეფასების განხილვისა და მისი დოკუმენტირების მიმართ დადგენილი წესები.[27]

როგორც აღინიშნა, ნიკოლოზ ნიკოლაძის 2018 წლის საბოლოო შეფასების ფორმაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსის, ბექა ზარანდიას მიერ ასახული სიტყვიერი შეფასებები არც ერთ შემთხვევაში ყოფილა დასაბუთებული შესაბამისი კომენტარებით, მტკიცებულებებისა და მაგალითების საფუძველზე. ამასთან, აპარატში არ წარმოდგენილა შუალედური შეფასების ფორმა და შეფასების შეხვედრის საბოლოო შედეგის ამსახველი წერილობით გაფორმებული დოკუმენტი. ყოველივე აღნიშნული, ზემოთ განხილული მოწესრიგების საფუძველზე, მიუთითებს ნიკოლოზ ნიკოლაძის შეფასების პროცესის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელების თაობაზე.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, განსახილველ შემთხვევაში, ნიკოლოზ ნიკოლაძის შეფასებას არ მოჰყოლია რაიმე სახის სამართლებრივი შედეგი. მიუხედავად ამისა, მომავალში ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამორიცხავს უფლებამოსილი პირების მიერ მოხელის შეფასების თაობაზე დაუსაბუთებელი და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დასაქმებული პირების სამართლიანი შრომის პირობებზე და გაუმართლებლად შეზღუდოს მათი შრომის უფლება.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით,

---

[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ბს–284–276(2კ–13).

[25] *იქვე.*

[26] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანებით დამტკიცებული „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი", მუხლი 13, ნაწილი 1, „ბ" და „გ" ქვეპუნქტები.

[27] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №01-136 ბრძანებით დამტკიცებული „დიპლომატიურ სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი", მუხლი 9, ნაწილი 4-9.

მიმდინარე და მომავალი შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოთ მოხელეების შეფასების პროცესის წარმართვა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც, მათ შორის, გულისხმობს უფლებამოსილი პირების მიერ მოხელის შეფასების ფორმაში შესაბამისი დასაბუთების ასახვას მტკიცებულებების/არგუმენტებისა და მაგალითების საფუძველზე.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

საქართველოს
სახალხო დამცველის აპარატი
OFFICE OF PUBLIC DEFENDER
OF GEORGIA

N 04-2/5411
25/05/2022

5411-04-2-2-202205251404

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს
მის.: ქ. [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა თქვენი №13658/21, №13668/21, №13989/21, №13987/21, №13981/21, №14238/21, №92/22, №203/22, №206/22, №240/22, №780/22, №782/22, №1352/22, №1722/22, №1743/22, №1715/22, №1975/22, №1999/22, №3949/22, №3951/22, №4455/22, №4456/22, №4556/22, №4751/22, №4939/22, №5308/22, №5395/22, №5220/22, №5301/22 და №5655/22 განცხადებები, რომლებშიც საუბარია ინფორმაციის მიღებისა და შრომითი უფლებების შესაძლო დარღვევის თაობაზე. კერძოდ, აპარატის წინაშე სადავოდ ხდიდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში თქვენი შეფასების შედეგებს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ თქვენ მიერ აპარატში წარმოდგენილია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დოკუმენტაცია, რომელთა ნაწილიც უშუალოდ არ უკავშირდება განსახილველ საკითხს ან რომელში აღწერილი გარემოებების შეფასება სცდება სახალხო დამცველისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამავდროულად, წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტაციის ნაწილში, ცალსახად ვერ დგინდება, რა სახის შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტს ხდით სადავოდ და რა რეაგირების განხორციელებას ითხოვთ აპარატის მხრიდან. რიგ შემთხვევებში, აღნიშნულის შესახებ განმარტებებს იღებდით სახალხო დამცველის აპარატის დასაშვებობისა და რეაგირების დეპარტამენტის მხრიდან.[1]

მოგახსენებთ, რომ კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის ფარგლებში და მიღებული განცხადებების საფუძველზე, სახალხო დამცველი ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს, ხოლო შემოწმების შედეგების მიხედვით, მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს დარღვეული უფლებებისა და

[1] იხ. მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატის დასაშვებობისა და რეაგირების დეპარტამენტის 2022 წლის 3 იანვრის №05-6/40, 27 იანვრის №05-6/1070, 16 თებერვლის №05-6/1870, 17 აპრილის №05-5/4456, 5 მაისის №05-5/4779, 16 მაისის №05-5/5053 და 19 მაისის №05-6/5180 წერილები.

თავისუფლებების აღსადგენად.[2] ამდენად, სახალხო დამცველის უფლებამოსილებებს სცდება ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა ან/და ისეთი ფორმალური კანონდარღვევების შეფასება, რასაც არსებითი გავლენა არ აქვს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სახალხო დამცველის აპარატის წინაშე სადავოდ ხდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენილ არაერთ განცხადებასთან დაკავშირებით პასუხის მიუღებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, აპარატი მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მრავალჯერ მიმართეთ სამინისტროს სხვადასხვა სახის ინფორმაციის/დოკუმენტაციის/განმარტებების გაცემის მოთხოვნით, რომელთა ნაწილი თქვენთვის დამოუკიდებლადაც ხელმისაწვდომია[3] ან რომელზე პასუხის გაცემაც სცილდება ადრესატი სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენციას. ხსენებულის გათვალისწინებით და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სახალხო დამცველის აპარატისთვის ყველა შემთხვევაში ცნობილი არ არის, თუ რა მიზნით/მიზეზით გჭირდებათ სადავო ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღება სამინისტროსგან, შეუძლებელია, გამოირიცხოს თქვენი მხრიდან ინფორმაციის მიღების უფლების შესაძლო ბოროტად გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კორესპონდენციაში წარმოდგენილია აპარატის პოზიციები თქვენ მიერ დასმულ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა დაიდენტიფიცირებაც შესაძლებელი გახდა სავარაუდო უფლებადარღვევად და რომლებიც განეკუთვნება სახალხო დამცველის შესწავლის საგანს.

წარმოდგენილ განცხადებებში სადავოდ ხდიდით შეფასების შედეგს შესაბამისი მტკიცებულებებითა და მაგალითებით დაუსაბუთებლობის პირობებში და მიუთითებდით შეფასების პროცესში იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე.

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ თქვენი №4939/22 განცხადების თანახმად, 2022 წლის 26 აპრილს, პირადი განცხადების საფუძველზე, გათავისუფლდით საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს მრჩევლის თანამდებობიდან და ჩაირიცხეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სამსახურის რეზერვში. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსახილველ შემთხვევაში დადგინდებოდა შეფასების განხორციელების პროცესში თქვენი შრომითი უფლების დარღვევის ფაქტი, სახალხო დამცველი მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას, მიემართა კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირების სათანადო ღონისძიებისთვის, რამდენადაც მსგავსი დარღვეული უფლების აღდგენას გამორიცხავს ამჟამად არსებული ვითარება (თქვენ მიერ ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს მრჩევლის თანამდებობის დატოვება). ამავე მიზეზით, აპარატი ვერ განახორციელებს რეაგირებას ისეთ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, შესაძლო არასათანადო სამუშაო პირობების არსებობასთან.

---

[2] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 12 და მუხლი 21.

[3] იხ. აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატის მიერ თქვენს სახელზე გამოგზავნილი 2021 წლის 21 მაისის №04-2/4876 წერილი.

მიუხედავად ამისა, როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, თქვენი განცხადებების საფუძველზე, წარსულში უკვე შეფასებული აქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების პროცედურა და მის ფარგლებში გამოკვეთილი ხარვეზები. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა 2019 წლის 5 ივნისის №04-2/6240 წინადადებით, უზრუნველეყო მოხელეების შეფასების პროცესის წარმართვა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც, მათ შორის, გულისხმობს უფლებამოსილი პირების მიერ მოხელის შეფასების ფორმაში შესაბამისი დასაბუთების ასახვას მტკიცებულებების/არგუმენტებისა და მაგალითების საფუძველზე როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში. გამომდინარე იქიდან, რომ სახალხო დამცველის მიმართვები არ წარმოადგენს სამართლებრივად მბოჭავ დოკუმენტებს, აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას, დამატებით განახორციელოს სხვაგვარი რეაგირება ზემოაღნიშნული წინადადებით განხილულ საკითხზე.

საყურადღებოა, რომ 2021 წლის დეკემბერში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენილი განცხადებებით ითხოვდით ინფორმაციის მიღებას სხვადასხვა წლის შეფასებასთან დაკავშირებით დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებთან და მიღებული შეფასებების დასაბუთებასთან დაკავშირებით. რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებითად წარმოადგენს სახალხო დამცველის 2019 წლის 5 ივნისის №04-2/6240 წინადადებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, აპარატი აგრეთვე მოკლებულია შესაძლებლობას, დამატებით განახორციელოს რეაგირება აღნიშნულ განცხადებებზე პასუხის მიუღებლობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსგან 2021 წლის 14 დეკემბრის №42038/01 და №42066/01, ასევე 2021 წლის 21 დეკემბრის №42902/01 და №42900/01 განცხადებებით გამოთხოვილი შეფასების შედეგებთან და პროცედურასთან დაკავშირებული ცალკეული პერსონალური მონაცემების მიუღებლობას სადავოდ ხდიდით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის - მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობისთვის პასუხისმგებელი სპეციალური უწყების წინაშეც. საგულისხმოა, რომ სამსახურის 2022 წლის 24 თებერვლის №g-1/036/2022, №g-1/041/2022, №g-1/042/2022 და №g-1/043/2022 გადაწყვეტილებებით სამინისტროს დაევალა სადავო მონაცემების თქვენთვის გადმოცემა. გარდა ამისა, თქვენი განცხადების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2022 წლის 24 თებერვალს, შეადგინა №000345 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 12 აპრილის №01/11037 წერილით დგინდება, უწყებამ არ გაიზიარა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განმარტება თქვენ მიმართ პერსონალური მონაცემების გაცემის ვალდებულების ფარგლებთან დაკავშირებით და ზემოხსენებული ჯარიმის დაკისრება თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. კერძოდ, როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებების, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი კორესპონდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამინისტროს პოზიციით, მას არ გააჩნია მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როდესაც მისთვის უკვე ცნობილია აღნიშნულის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატი ხაზს უსვამს, რომ სწორედ სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, კანონმდებლობის ინტერპრეტაციის

შედეგად, სადავო საკითხთან დაკავშირებით მიიღოს საბოლოო და მბოჭავი გადაწყვეტილება, რაც მომავალში მონაცემთა დამუშავების სახელმძღვანელო სტანდარტს დაადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპარატი დეტალურად არ განიხილავს შეფასებასთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის თითოეულ სადავო ფაქტს.

გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ითხოვდით ინფორმაციას, მათ შორის, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად თქვენი კანდიდატურის განხილვასთან, დიპლომატიური რანგის მინიჭების საკითხთან, შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურასთან, მოდერაციის საბჭოს შემადგენლობასთან, მის უფლებამოსილებასთან, საჩივრის განხილვის წესთან და მის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან 2022 წლის 8 აპრილის №01/10742 წერილით მიღებული განმარტების შესაბამისად, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად თქვენი კანდიდატურის განხილვასთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, პასუხის მომზადება არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, ვინაიდან მოთხოვნილი პროცედურა კანონმდებლობით („დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის № 01-74 ბრძანება) არის გაწერილი და შესაბამისად, ხელმისაწვდომია თქვენთვისაც.

დიპლომატიური რანგის მინიჭების საკითხის თაობაზე თქვენი განცხადების პასუხად გამოგეგზავნათ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის 2022 წლის 26 იანვრის №01/2126 წერილი. გარდა ამისა, 2022 წლის 24 თებერვალს, ელექტრონული ფორტის საშუალებით, გეცნობათ მორიგი დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის 2022 წლის 28 თებერვლის №01/6103 კორესპონდენციით, მოგეწოდათ ამონაწერი საგარეო საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებიდან.

რაც შეეხება შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურასთან და მოდერაციის საბჭოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №01/1656 წერილით დგინდება, რომ სამინისტროს თანამშრომელთა შეფასების სისტემასა და პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, დამხმარე და სახელმძღვანელო მასალები, შეფასების ფორმები, შეფასების სისტემის დანერგვიდან დღემდე ყოველთვის იყო განთავსებული სამინისტროს შიდა საინფორმაციო ქსელში და შესაბამისად - ხელმისაწვდომი სამინისტროს თანამშრომლებისთვის; ამასთან, სამინისტროს ცნობით, შეფასების მეთოდსა და პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაცია ყოველ წელს, საბოლოო წლიური შეფასების პროცესის დაწყებამდე, ინსტრუქციის სახით იგზავნება სამინისტროს სისტემის ყველა თანამშრომელთან. გარდა ამისა, მიღებული კორესპონდენციის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა 2021 წლის ნოემბერში სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები შეფასების მეთოდოლოგიასა და პროცედურასთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენც ესწრებოდით და შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე, გქონდათ შესაძლებლობა, დაგესვათ თქვენთვის საინტერესო კითხვები.

ამავდროულად, საქმისწარმოების ფარგლებში მიღებული დოკუმენტაციით, იკვეთება, რომ შეფასების გასაჩივრების თაობაზე შესაბამისი აქტები და დამატებითი განმარტებები

მიიღეთ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის 2021 წლის 24 დეკემბრის №01/35730 და 2022 წლის 10 თებერვლის №01/3739 წერილებით. აღნიშნულის შესახებ, შეტყობინება გამოგეგზავნათ ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით 2021 წლის 14 დეკემბერს. გარდა ამისა, აპარატში წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ №01/3739 და №01/8108 წერილებით, სამინისტროსგან გამოგეგზავნათ მოდერაციის საბჭოს სხდომის ოქმები.

საგულისხმოა, რომ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ეკისრება ვალდებულება, მეთოდური დახმარება გაუწიოს შეფასების პროცესის მონაწილეებს, თუმცა მსგავსი ფუნქცია არ მოიცავს შეფასების მარეგულირებელი აქტების შესახებ თანამშრომლებისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აგრეთვე მიმართეთ 2022 წლის 25 მარტის №10102/01, №10103/01, №10104/01 და №10105/01 განცხადებებით, რომლითაც მოთხოვნილია სამუშაო აღწერილობების შესახებ ინფორმაციისა და აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ის მიღება, რასთან დაკავშირებითაც პასუხი გეცნობათ სამინისტროს 2022 წლის 11 აპრილის №01/10840 წერილით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპარატი მოკლებულია თქვენს მოთხოვნებზე სხვაგვარი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას და ასრულებს წარმოებას №13658/21, №13668/21, №13989/21, №13987/21, №13981/21, №14238/21, №92/22, №203/22, №206/22, №240/22, №780/22, №782/22, №1352/22, №1722/22, №1743/22, №1715/22, №1975/22, №1999/22, №3949/22, №3951/22, №4455/22, №4456/22, №4556/22, №4751/22, №4939/22, №5308/22, №5395/22, №5220/22, №5301/22 და №5655/22 განცხადებებზე. დანართის სახით, გიგზავნით თქვენ მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიღებული განმარტებებისა და დოკუმენტაციის ასლებს.

დანართი: 170 (ას სამოცდაათი) ფურცელი.

პატივისცემით,

ლიკა წიკლაური

დეპარტამენტის უფროსი (I რანგი; საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს
სახალხო დამცველის აპარატი
OFFICE OF PUBLIC DEFENDER
OF GEORGIA

N 24/12091
15/12/2023

12091-24-2-202312151009

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს
ტელ.: [redacted]
ელ_ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2023 წლის 05 დეკემბერს შემოსული თქვენი #14618/23 (აპარატში რეგისტრაციის ნომერი) წერილის პასუხად გეგზავნებათ სახალხო დამცველის აპარატის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში რეგისტრირებული, თქვენს მიერ შემოტანილი განცხადებების და თქვენს სახელზე გამოგზავნილი კორესპონდენციის რეესტრი.
ანასთან, სახალხო დამცველის აპარატში არ არის გამიჯნული შემოტანილი და გაგზავნილი კორესპონდენცია მიღების/გაგზავნის ფორმის მიხედვით (ელექტრონული ფოსტა ან/და მატერიალური სახით).
გარდა ამისა, რეესტრის ფორმატში შეუძლებელია შემოტანილი განცხადებების დანართების რაოდენობის მითითება, გასათვალისწინებელია შემოტანილი დანართების ფორმატი, გარდა Microsoft Word Document (.docx) ფორმატისა, აპარატში შემოტანილია Microsoft Excel Worksheet (.xls), სადაც გვერდების რაოდენობის მითითება შეუძლებელია.

1. შემოტანილი განცხადებების რეესტრი.

	დოკუმენტი N	გვერდების რაოდენობა	თარიღი	გამომგზავნი
1	14618/23	1	05.12.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
2	13328/23	1	03.11.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
3	7975/23	2	10.07.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
4	6568/23	1	12.06.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
5	6566/23	1	12.06.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
6	6564/23	1	12.06.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
7	6563/23	1	12.06.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
8	6560/23	1	12.06.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
9	6559/23	1	12.06.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
10	3872/23	3	06.04.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
11	10928/22	2	26.09.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
12	10902/22	5	26.09.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
13	7198/22	2	23.06.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
14	7194/22	1	23.06.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;

15	7147/22	2	22.06.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
16	7137/22	2	22.06.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
17	7130/22	3	22.06.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
18	7126/22	3	22.06.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
21	6061/22	4	27.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
23	5911/22	2	23.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
24	5855/22	1	23.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
25	5817/22	22	20.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
26	5772/22	1	19.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
27	5655/22	11	17.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
29	5395/22	8	10.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
30	5308/22	3	06.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
31	5301/22	4	06.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
32	5220/22	28	04.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
33	4939/22	7	28.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
34	4751/22	12	26.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
35	4556/22	7	18.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
36	4456/22	11	15.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
37	4455/22	3	15.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
38	3951/22	7	04.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
39	3949/22	7	04.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
42	1999/22	22	16.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
43	1975/22	11	15.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
44	1743/22	1	10.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
45	1722/22	1	10.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
46	1715/22	4	10.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
47	1352/22	1	03.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
48	782/22	1	24.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
49	780/22	1	24.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
50	240/22	1	11.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
51	206/22	1	10.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
52	203/22	1	10.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
53	92/22	7	04.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
54	14278/21	1	31.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
55	14238/21	4	30.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
56	13989/21	3	27.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
57	13987/21	2	27.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
58	13981/21	2	27.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
59	13668/21	1	20.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
60	13658/21	6	20.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
61	13272/21	1	10.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
62	13179/21	1	08.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
63	12852/21	2	01.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
64	12507/21	1	22.11.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
65	3630/21	25	05.04.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
66	13436/20	43	10.12.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;

67	13285/20	2	07.12.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
68	12545/20	90	16.11.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
69	10887/20	3	05.10.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
70	10857/20	2	02.10.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
71	10199/20	2	17.09.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
72	625/20	20	16.01.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
73	361/20	22	13.01.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
74	270/20	118	10.01.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
75	3077/19	71	05.03.2019	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
76	2795/19	106	27.02.2019	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
77	2194/19	18	18.02.2019	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
78	1864/19	12	12.02.2019	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
79	1009/19	52	29.01.2019	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
80	17146/18	30	11.12.2018	ნიკოლოზ ნიკოლაძე;
81	16506/17	7	15.11.2017	ნიკოლოზ ნიკოლაძე;
82	16308/17	10	13.11.2017	ნიკოლოზ ნიკოლაძე;
83	16139/17	120	09.11.2017	ნიკოლოზ ნიკოლაძე;
84	14868/16	2	18.11.2016	ნიკოლოზ ნიკოლაძე;

2. განმცხადებლისათვის გაგზავნილი კორესპონდენციის რეესტრი.

	დოკუმენტი N	გვერდების რაოდენობა	თარიღი	ადრესატი
1	24/10826	140	06.11.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
2	05-5/6784	2	12.07.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
3	05-5/6439	1	04.07.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
4	05-5/3582	2	10.04.2023	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
5	24/9850	1	03.10.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
6	05-2/9812	2	29.09.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
7	24/6708	3	01.07.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
10	24/5719	3	02.06.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
11	24/5500	1	30.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
12	05-6/5430	2	25.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
13	05-5/5421	2	25.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
14	05-5/5420	2	25.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
15	04-2/5411	175	25.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
16	05-5/5320	2	24.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
17	05-2/5266	2	23.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
18	05-6/5180	2	19.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
19	05-2/5170	2	19.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
20	05-5/5053	2	16.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
21	05-5/4779	1	05.05.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
22	05-5/4456	1	27.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
23	05-5/4405	1	27.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;

24	05-5/3888	2	12.04.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
26	05-6/2313	1	28.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
27	05-6/2267	2	25.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
28	05-6/2184	1	24.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
29	05-6/1870	2	16.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
30	05-6/1467	1	04.02.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
31	05-6/1070	3	27.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
32	05-6/199	2	06.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
33	05-6/40	2	03.01.2022	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
34	01-1/12361	4	24.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
35	24/11482	1	03.12.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
36	04-2/4876	28	21.05.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
37	05-6/9	2	04.01.2021	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
38	24/12693	941	24.12.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
39	04-2/11283	2	12.11.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
40	24/10352	941	20.10.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
41	05-6/10238	2	16.10.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
42	05-6/9509	2	25.09.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
43	05-6/723	3	23.01.2020	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
44	04-2/6365	8	10.06.2019	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
45	13-1/799	6	22.01.2019	ნიკოლაძე ნიკოლოზ;
46	05-6/16289	1	27.11.2017	ნიკოლოზ ნიკოლაძე;
47	05-5/15701	3	10.11.2017	ნიკოლოზ ნიკოლაძე;
48	01-8/14456	21	05.12.2016	ნიკოლოზ ნიკოლაძე;

პატივისცემით,
დავით მანაგაძე

სამმართველოს უფროსი (II რანგი; საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სტატისტიკის სამმართველო